უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "თავდაცვის ანალიზი"

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

20 დეკემბერი, 2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **გვანცა**

გვარი **აბდალაძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა MA program in Defence Analysis
2	უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	თავდაცვის ანალიზის მაგისტრი MA in Defence Analysis
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	121
9	განხორციელების ადგილი[5]	ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი, გორი, საქართველო, 1400.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული MES 5 23 0001682891, 08/12/2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08/12/2023
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული	09/12/2024

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	08/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

- **რეკომენდებულია** პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა: რაოდენობის შემცირება, მათი ობიექტის გაფართოება და მათი დაჯგუფება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“). უფრო მეტიც, **რეკომენდებულია,** სადაც რელევანტური და მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში სამოქალაქო და სამხედრო ასპექტების უფრო მკაფიოდ გამიჯვნა და იმ სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება, რომლებიც დაწერილია კომპეტენციების მიხედვით, რათა მათი როგორც სწავლის შედეგების გაზომვა მოხდეს საგანმანათლებლო გარემოში.
- **რეკომენდებულია** კურსის სწავლის შედეგების გადახედვა „პასუხისმგებლობის/ ავტონომიურობის“ გათვალისწინებით და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“).
- **რეკომენდებულია** წინაპირობების დადგენა ყველა არჩევით საგანზე, „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისა“ და „მართვის ფსიქოლოგიის“ გარდა.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით (MES 5 23 001682891) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ „თავდაცვის ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და რეკომენდაციების (3 რეკომენდაცია) შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 9 დეკემბერი. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ წარმოადგინა დათქმულ ვადაში (02.12.2024).

უსდ-ის ანგარიშს თანდართული აქვს შემდეგი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი; სამაგისტრო ნაშრომის და სასწავლო კურსის „სამხედრო ლიდერობა“ სილაბუსები; უსდ-ის ბრძანება სააკრედიტაციო ანგარიშის მომზადების მიზნით კომისიიის შექმნის შესახებ (13.09.2024) და უსდ-ის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნილი კომისიის ოქმები (2 ოქმი); უსდ-ის დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (20.11.2024) და გენდერული თანასწორობის კონცეფცია; უსდ-ის დადგენილება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (02.09.2024); უსდ-ის მაგისტრატურის საბჭოს სხდომის ოქმი # 16 (01.08.2024); იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ (21.11.2024) და პროექტების დაფინანსების წესი; უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (25.09.2024); უსდ-ის დადგენილება უსდ-ში სამოქალაქო პირების ჩარიცხვის შესახებ (28.12.2023);

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტაციით **დასტურდება ყველა რეკომენდაციის (3 რეკომენდაცია) სრულად შესრულება.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კომისიის ოქმები) დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (აკადემიის ადმინისტრაცია, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი). სასურველია ანგარიშის მომზადების პროცესში სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობაც (სტუდენტები, დამსაქმებლები).

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

- **სასურველია** აკადემიაში მეტი აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიის ხელშეწყობის გაძლიერებაზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებით, რომლებიც მიმართულია მიკერძოებისა და სტერეოტიპებისაკენ, გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის ხაზგასმით. ამ სტრატეგიების ჩართვით სამხედრო განათლების სკოლებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი სამხედრო კულტურის განვითარებაში, რაც ორმხრივ სარგებელს მოუტანს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოების წინსვლას;
- **სასურველია** აკადემიის მისიის გადახედვა, რათა იგი მოიცავდეს სამოქალაქო აუდიტორიას, რაც ხელს შეუწყობს ტოტალური თავდაცვის კულტურას საერთო განათლების მეშვეობით (მაგ., აკადემიის მისიაა მოამზადოს ოფიცერი და სამოქალაქო კადრები...);
- **სასურველია** ამ სფეროში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება (სამხედრო პროფესიის ოფიცერთა კვალიფიკაციის ჩარჩო , რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ კვალიფიკაციის ჩარჩოს და, შესაბამისად, შეესაბამება საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს), რათა მიეთითოს სწავლის შედეგების დარგობრივი სპეციფიკა;
- **სასურველია** გაიზარდოს პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, რადგან შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა შედარებით მაღალი რჩება. პროგრამის ხელმძღვანელებმა პრაქტიკულად უნდა გამოიძიონ ეს გამოწვევები და უნდა გამოიმუშაონ სტრატეგიები მათ დასაძლევად. ამით ისინი გზას გაუხსნიან უფრო მეტ სტუდენტს, რათა წარმატებით დაასრულონ მთელი პროგრამა;
- **სასურველია** მეტი პრიორიტეტი მიენიჭოს პროგრამის განვითარების შედეგად მიღებული შედეგების მდგრადობას. გარდა ამისა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის დანერგვა თავის საგანმანათლებლო მისიაში, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი და გამდიდრებული სასწავლო გარემოს შექმნას. ეს მიდგომა შეამსუბუქებს სტუდენტებისა და პედაგოგების წინაშე არსებულ შეზღუდვებს, რომელიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამედროვე ლიტერატურის წვდომას ეხება. უფრო მეტიც, ინგლისური ენის ცოდნის ამაღლება სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის.;
- **სასურველია** აკადემია გახდეს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის ასოცირებული ქსელის პარტნიორი და შემდგომში შეუერთდეს ე.წ. „სამხედრო ERASMUS“ ინიციატივას, მის ფარგლებში ევროკავშირის დონეზე შემუშავებულ და შეთანხმებულ საერთო მოდულების პროგრამის სასწავლო გეგმებში ჩართულობის გზით;

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

- **სასურველია** უსაფრთხოების სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება და თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების ჩარიცხვის გაფართოება, რათა მოიცავდეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პროფესიონალებს, ასევე უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელეებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ამჟამად არ არსებობს ანალოგიური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო უნარების, რესურსების და პერსპექტივების ყოვლისმომცველ განათლებას სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პირებისთვის და ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის უპირატესობებს. თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აძლიერებს ჩვენს კოლექტიურ შესაძლებლობებს, საქართველოს ფარგლებში, ეფექტური რეაგირება მოვახდინოთ მომავალ საგანგებო, კონფლიქტურ და კატასტროფულ სიტუაციებში. სამოქალაქო ექსპერტიზისა და სამხედრო შესაძლებლობების გაერთიანების ინიციატივა არა მხოლოდ აძლიერებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას, არამედ ხელს უწყობს მშვიდობას, სტაბილურობასა და გამძლეობას ჩვენს საზოგადოებაში;
- **სასურველია** უსდ-მ გამოიკვლიოს, მრავალდეპარტამენტიან გარემოში (თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის, იურიდიული სამსახურის, თავდაცვის ძალებისა და აკადემიის წარმომადგენლის ჩათვლით) რატომ არის სამხედრო ოფიცრების დაინტერესება თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით ასეთი დაბალი, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო კარიერის პერსპექტივიდან ამ პროგრამის უპირატესობების გამოყოფით. ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაშვების წინაპირობების შესაბამისად შეცვლა;
- **სასურველია** იუნკერების მაქსიმალური ჩართვა გაცვლით პროგრამებში სამაგისტრო დონეზე;
- **სასურველია** მოიძებნოს სამხედრო- სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავების ახალი მექანიზმები, მაგალითად, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თანახელმძღვანელის აყვანა ან/ და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში გარე შემფასებლის დამატება;
- **სასურველია** რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს ჩართული ნაშრომის შეფასების პროცესში;
- **სასურველია** თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სამეცნიერო ცენტრის ჩართულობის გასაძლიერებლად დამატებითი მექანიზმების შემუშავება;
- **სასურველია** დაინიშნოს კოორდინატორი (ხარისხის მქონე აკადემიური, მოწვეული ან სამეცნიერო პირი) სამაგისტრო ნაშრომების მომზადების პროცესის მონიტორინგის მიზნით (პასუხისმგებლობა აკადემიური სტილის უნიფიცირებაზე, ლიტერატურის შერჩევის სტანდარტების მონიტორინგი და ანტიპლაგიატის პოლიტიკის განხორციელება);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით (MES 5 23 001682891) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ „თავდაცვის ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და რეკომენდაციების (4 რეკომენდაცია) შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 9 დეკემბერი. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ წარმოადგინა დათქმულ ვადაში (02.12.2024).

უსდ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში **წარმოდგენილი რჩევებიდან (13 რჩევა) გათვალისწინებულ იქნა 3 რჩევა.** სასურველია, უსდ-მ შემდგომ აკრედიტაციამდე გაითვალისწინოს სხვა რჩევებიც, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა: რაოდენობის შემცირება, მათი ობიექტის გაფართოება და მათი დაჯგუფება საქართველოს**

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“). უფრო მეტიც, რეკომენდებულია, სადაც რელევანტური და მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში სამოქალაქო და სამხედრო ასპექტების უფრო მკაფიოდ გამიჯვნა და იმ სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება, რომლებიც დაწერილია კომპეტენციების მიხედვით, რათა მათი როგორც სწავლის შედეგების გაზომვა მოხდეს საგანმანათლებლო გარემოში.
შეფასება	უსდ-ის მიერ წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის (შემდგომში: უსდ-ის ანგარიში) მიხედვით, სრულად მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის ყველა ასპექტის გათვალისწინება. კერძოდ, მოხდა სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, დაჯგუფება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით, გაიმიჯნა სამხედრო და სამოქალაქო ასპექტების გამიჯვნა. აღნიშნული ცვლილებები დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული კურიკულუმის მიხედვით. კერძოდ, სწავლის შედეგები დიფერენცირებულია სწავლის სფეროების მიხედვით (ცოდნა/გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა). ასევე, გამიჯნულია სამხედრო ლიდერობასთან დაკავშირებული შედეგები („კრიტიკულად განიხილავს სამხედრო ლიდერობაში არსებულ თანამედროვე მიდგომებს“; „ურთიერთაკავშირებს თავდაცვის ძალების რესურსების დაგეგმვას, ბიუჯეტირებას და პროგრამირებას“; „ახდენს, ამოცანით მართვის ფილოსოფიის ინტეგრირებას სამხედრო ლიდერობაში“). **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე (შემდგომში: უსდ-ის ანგარიში) • აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

	• საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია კურსის სწავლის შედეგების გადახედვა „პასუხისმგებლობის/ ავტონომიურობის“ გათვალისწინებით და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“).**
შეფასება	უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, რეკომენდაცია გაზიარებულია. მტკიცებულებად წარმოდგენილია ორი სილაბუსი („სამაგისტრო ნაშრომი“, „სამხედრო ლიდერობა“). აქედან, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა ნაწილი განსაზღვრულია ოთხი შედეგით, სამხედრო ლედერობის სილაბუსის მიხედვით, აღნიშნული ნაწილი განსაზღვრულია ორი შედეგით. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III	**რეკომენდებულია წინაპირობების დადგენა ყველა არჩევით საგანზე, „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისა“ და „მართვის ფსიქოლოგიის“ გარდა.**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის თანახმად, რეკომენდაცია შესრულებულია, არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულია წინაპირობები (გარდა რეკომენდაციაში მოხსენიებული ორი სასწავლო კურსისა). საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ

	კურიკულუმში დასტურდება ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი შედგება 12 კურსისგან. 7 არჩევითი კურსისთვის (მეორე და მესამე სემესტრის სასწავლო კურსები) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან განსაზღვრულია 5 სხვადასხვა კურსი. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რჩევა 1	**სასურველია აკადემიაში მეტი აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიის ხელშეწყობის გაძლიერებაზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებით, რომლებიც მიმართულია მიკერძოებისა და სტერეოტიპებისაკენ, გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის ხაზგასმით. ამ სტრატეგიების ჩართვით სამხედრო განათლების სკოლებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი სამხედრო კულტურის განვითარებაში, რაც ორმხრივ სარგებელს მოუტანს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოების წინსვლას.**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და დაამტკიცა გენდერული თანასწორობის კონცეფცია. თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია უსდ-ის დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (20.11.2024) და გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელიც შედგება 8 მუხლისგან და შეიცავს მრავლობით საკითხებს. **რჩევა შესრულებულია.**

მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (20.11.2024) • გენდერული თანასწორობის კონცეფცია

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რჩევა 2	**სასურველია აკადემიის მისიის გადახედვა, რათა იგი მოიცავდეს სამოქალაქო აუდიტორიას, რაც ხელს შეუწყობს ტოტალური თავდაცვის კულტურას საერთო განათლების მეშვეობით (მაგ., აკადემიის მისიაა მოამზადოს ოფიცერი და სამოქალაქო კადრები...).**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა, მოხდა მისიის განხილვა უსდ-ს აკადემიურ საბჭოზე და მოთხოვნა გაგზავნილია თავდაცვის სამინისტროში დამტკიცების მიზნით. თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია აკადემიის მისიაში ცვლილების მოთხოვნის დოკუმენტი (უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ), რომლის მიხედვით, აკადემიის მისიამ უნდა ასახოს შემდეგი დებულება: "ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემისთვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის, ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მეშვეობით." **რჩევა ჩაითვალოს შესრულებულად**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (25.09.2024);

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რჩევა 3	**სასურველია უსაფრთხოების სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება და თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების ჩარიცხვის გაფართოება, რათა მოიცავდეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პროფესიონალებს, ასევე უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელეებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ამჟამად არ არსებობს ანალოგიური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო უნარების, რესურსების და პერსპექტივების ყოვლისმომცველ განათლებას სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პირებისთვის და ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის უპირატესობებს. თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აძლიერებს ჩვენს კოლექტიურ შესაძლებლობებს, საქართველოს ფარგლებში, ეფექტური რეაგირება მოვახდინოთ მომავალ საგანგებო, კონფლიქტურ და კატასტროფულ სიტუაციებში. სამოქალაქო ექსპერტიზისა და სამხედრო შესაძლებლობების გაერთიანების ინიციატივა არა მხოლოდ აძლიერებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას, არამედ ხელს უწყობს მშვიდობას, სტაბილურობასა და გამძლეობას ჩვენს საზოგადოებაში.**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, აკადემიამ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება. 2024 წლამდე აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს უწყებისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისთვის. საანგარიშო პერიოდში, აკადემიამ თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელი გახადა იმ სამოქალაქო პირებისთვისაც, ვინც არ არის რეკომენდირებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული უფლებით ისარგებლა ხუთმა სამოქალაქო პირმა და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ტენდენცია გაძლიერდება მომდევნო წლებში.

	უსდ-ის არგუმენტი დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით (უსდ-ის დადგენილება უსდ-ში სამოქალაქო პირების ჩარიცხვის შესახებ).
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში. • უსდ-ის დადგენილება უსდ-ში სამოქალაქო პირების ჩარიცხვის შესახებ (28.12.2023).

ექსპერტის ხელმოწერა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე